„ინკლუზიური სახელოვნებო პროექტების ხელშეწყობა“

საკონკურსო დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ კონკურსის „ინკლუზიური სახელოვნებო პროექტების ხელშეწყობა“ (შემდგომ - კონკურსი) საკონკურსო დებულება (შემდგომ - დებულება) განსაზღვრავს კონკურსის პირობების და ჩატარების წესს.

მუხლი 2. კონკურსის მიზნები და პრიორიტეტები

2.1. კონკურსის მიზნები და პრიორიტეტებია:

ა) ინკლუზიური სახელოვნებო პროექტების ხელშეწყობა კულტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;

ბ)შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შემოქმედებითი უნარების განვითარება/წარმოჩენა და მათი კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის/მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

გ) ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების ბრაილის შრიფტით გამოცემის ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;

დ) კულტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ონლაინ პლატფორმების მეშვეობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

მუხლი 3. კონკურსის პირობები

3.1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს (შემდგომ - კონკურსანტი).

3.2. კონკურსანტს კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის წარდგენა.

3.3. საკონკურსო დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის წარმოდგენა.

3.4. კონკურსის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 200 000 (ორასი ათასი) ლარს.

3.5. წარმოდგენილი საკონკურსო განაცხად(ებ)ით გათვალისწინებული პროექტის/ღონისძიების (შემდგომში - პროექტი) დაწყება უნდა განისაზღვროს არაუადრეს **2026 წლის 8 ივნისისა,** ხოლო დასრულების თარიღი - არაუგვიანეს **2026 წლის 10 დეკემბრისა.**

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

4.1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს „კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების დაფინანსების/ფინანსური ხელშეწყობის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 20 მაისის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული დანართების (ფორმების) შესაბამისად, შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება (დებულების დანართი №1), სსიპ შემოქმედებითი საქართველოს დირექტორის (შემდგომ - დირექტორი) სახელზე;

ბ) საკონკურსო განაცხადი (დებულების დანართი №2.1 და №2.2), ამასთან კონკურსანტი ვალდებულია დანართი №2.2 წარმოადგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმოწერილი ფორმით (pdf ფორმატში) და ელექტრონული სახით (Excel-ის ფორმატში);

გ) ბანკის მიერ გაცემული, კონკურსანტის საბანკო რეკვიზიტების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს კონკურსანტის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს (მათ შორის : ანგარიშის ნომერი, ანგარიშის მფლობელის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები). საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი სახაზინო კოდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (ამონაწერი უნდა იყოს ბოლო 12 თვის მანძილზე განახლებული);

ე) წარმომადგენლის მეშვეობით დოკუმენტაციის წარდგენისას, წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა);

ვ) ინფორმაცია ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შესახებ და თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მისი არსებობის შემთხვევაში);

ზ) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/ პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ რაიმე ტიპის ნებართვის აუცილებლობას;

თ) სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ მიერ მოთხოვნილი სხვა დამატებითი ინფორმაცია/ დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).

4.2. კონკურსის ფარგლებში, კონკურსანტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე, წარმოადგინოს დაზუსტებული განაცხადი ან/და დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

4.3. საკონკურსო განაცხადები მიიღება ელექტრონულად, სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ელ-ფოსტაზე - info@creativegeorgia.ge . განაცხადი მიღებულად ჩაითვლება მითითებული ელ-ფოსტიდან წერილობითი დასტურის შემდეგ.

4.4. საკონკურსო განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება 5 სამუშაო დღე, რომლის გამოუსწორებლობის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია რჩება განუხილველი.

მუხლი 5. კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის წესი, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების წესი.

ონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული განცხადებების განხილვისა და შეფასების მიზნით, სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია (შემდგომ - კომისია).

ონკურსის გამარჯვებულ(ებ)ს გამოავლენს და დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისია.

ომისიის გადაწყვეტილება გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენის შესახებ მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

ომისია შედგება საქართველოს კულტურის სამინისტროს/სსიპ შემოქმედებით საქართველოს თანამშრომლების ან/და მოწვეული დარგის სპეციალისტების არანაკლებ 5 (ხუთი) წევრისგან.

აკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული განცხადებების განხილვასა და შეფასებას საკონკურსო კომისია ასრულებს განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

აკონკურსო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის შემთხვევაში იმოქმედებს ამ დებულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ საკონკურსო კომისიის წევრს წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და უნდა შეწყვიტოს საკონკურსო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა.

აკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი და პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, ასევე, არ გაამჟღავნოს კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე.

აკონკურსო კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. არავის აქვს უფლება ჩაერიოს საკონკურსო კომისიის წევრის საქმიანობაში ან/და მოახდინოს მასზე რაიმე ზეგავლენა.

საკონკურსო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის ან სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ დირექტორი უფლებამოსილია შეცვალოს საკონკურსო კომისიის წევრი.

კომისია გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო განაცხადების ქულებით შეფასების საფუძველზე ამ მუხლის 5.12 პუნქტით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

საკონკურსო კომისიის მიერ განაცხადების შეფასება ხორციელდება 30 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და საკონკურსო დებულებით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან	0-15
2	პროექტის მოსალოდნელი შედეგის გაზომვადობა (მდგრადობა)	0-5

3	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან	0-5
4	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება	0-5
სულ		**30**

საკონკურსო პროექტების შეფასების შედეგად საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას:

ა) პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;

ბ) პროექტის ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;

გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის შესახებ.

საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს იმ პროექტის დაფინანსების შესახებ, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს პირველი და მეორე კრიტერიუმის მიხედვით. თუ ორმა ან რამდენიმე საკონკურსო პროექტმა, ამ წესის შესაბამისად, კვლავ დააგროვა თანაბარი ქულები, გამარჯვებული გამოვლინდება კენჭისყრის საფუძველზე.

5.15.საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს დაზუსტებული განაცხადის ან/და დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა. ამ პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი დაზუსტებული განაცხადი ან/და დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტის განაცხადი არ განიხილება, რის შესახებაც ეცნობება კონკურსანტს წერილობით. ობიექტური მიზეზების არსებობის და დადასტურების შემთხვევაში აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს დამატებით 5 სამუშაო დღით.

საკონკურსო პროექტის/პროექტების შერჩევისა და შესაბამისი ფინანსური ხელშეწყობის თაობაზე ბრძანების გამოცემიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდება ხელშეკრულება.

5.17.გამარჯვებული პროექტის სათანადოდ განხორციელების მიზნით, წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია საკონკურსო პროექტის განმახორციელებელი პირის წერილობითი მოთხოვნისა და დასაბუთების საფუძველზე, საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის გარეშე პროექტის ღირებულების არაუმეტეს 25%-ის ოდენობით. 25%-ზე მეტი ოდენობით წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, საკონკურსო პროექტის განმახორციელებელი პირი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო/სადაზღვევო გარანტია.

მუხლი 6. კონკურსის ვადები და სხვა პირობები

აკონკურსო განაცხადები მიიღება **2026 წლის 14 აპრილიდან 2026 წლის 24 აპრილის ჩათვლით.** სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ელ. ფოსტაზე - info@creativegeorgia.ge

ნფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გამოქვეყნდება სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ სოციალურ ქსელებში არაუგვიანეს **2026 წლის 29 მაისისა.** ვადის გაგრძელების შემთხვევაში, ინფორმაცია დამატებით განთავსდება ამავე სოციალურ ქსელებში.

ონკურსთან დაკავშირებული კითხვების ან წარდგენილ განაცხადზე დასტურის მიუღებლობის

შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე - info@creativegeorgia.ge
აკითხები, რომლებიც არ რეგულირდება ამ დებულებით წესრიგდება „კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების დაფინანსების/ ფინანსური ხელშეწყობის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 20 მაისის №5/09 ბრძანების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართები:

1. კონკურსის დებულება;
2. განცხადება (დანართი №1);
3. საკონკურსო განაცხადი (დანართი №2.1 და დანართი №2.2);
4. დაზუსტებული ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი №3);
5. შესრულების ანგარიში (დანართი №4.; დანართი N4.1);
6. საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის ფორმა (დანართი №5);
7. კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების დაფინანსების/ფინანსური ხელშეწყობის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 20 მაისის №05/09 ბრძანება (დანართი N6).